



## დუმილი თანხმობის ნიშანი?

### რატომ ვთანხმდებით რუსეთის შუამავლობას

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

სალომე ზურაბიშვილს

26 თებერვალი, 2019 წელი

თბილისი, საქართველო

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი,

დირექტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების

საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN)

თქვენო აღმატებულება, საქართველოს პრეზიდენტო,

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები (GID) 10 წელია მიმდინარეობს. ახლა, გაზაფხულზე, აპრილში, მომდევნო 47-ე რაუნდია დაგეგმილი. ამ წერილში, 10-წლიანი ჟენევის 50-მდე შეხვედრის შეფასებას არ შევუდგები. ამაზე ბევრია დაწერილიც და ნათქვამიც.

ჩემი თქვენდამი წერილით მომართვის ერთ-ერთი საფუძველი გახდა თქვენი ამასწინანდელი განცხადება, რომ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები უკიდურესად ტექნიკურ დონეზე დაეშვა და მისი ფორმატი საჭიროებს გადახედვას. ასეთი ტიპის განცხადება ჩვენ არ მოგვისმენია არცერთი პრეზიდენტისგან და მინდა, ამ თქვენი განცხადების შინაარსსა და პათოსში სრულიად დაგეთანხმოთ და აღვნიშნო, რომ ამ მიდგომას მხარს უჭერს საქართველოში სამშვიდობო საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების არაერთი ორგანიზაცია და ექსპერტი.

ჩემი წუხილი შემდეგია: საქართველოს სახელმწიფო, მონაწილეობს რა, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში, მით აღიარებს რუსეთის, როგორც შუამავლის როლს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე. რატომ? ვისა და ვის შორისაა რუსეთი შუამავალი? ვინ არიან მხარეები ჟენევაში? რაში მონაწილეობს საქართველო წლების მანძილზე? ვსვავ ამ შეკითხვებს და ვერც ერთი სახელმწიფო თუ საჯარო მოხელე, ექსპერტი თუ პოლიტიკოსი ვერ სცემს ამ ლეგიტიმურ კითხვებს პასუხს.

გწერთ იმ რწმენით, რომ მივიღებ პასუხს საქართველოს მეხუთე არჩეული პრეზიდენტისგან, რომელიც, იმედია, მყისიერად მოახდენს რეაგირებას და წამოიწყებს კომუნიკაციას ხელისუფლების ყველა შტოსთან, რათა, შედეგად:

- საქართველოს პარლამენტმა მიიღოს დადგენილება (თუნდაც 10 წლის შემდეგ...),
  - დადგენილებამ მოკლედ უნდა შეაჯამოს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 10-წლიანი პერიოდი და ცალსახად დაადგინოს, რომ საქართველო აგრძელებს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილეობას, თუმცა, ადასტურებს, რომ რუსეთი ამ ფორმატში არის მხარე და არა შუამავალი (მედიატორი), მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის სადამფუძნებლო დოკუმენტში (წყაროში) რუსეთმა ხელი მოაწერა და მხოლოდ საკუთარი ინიციატივით, საქართველოს უკითხავად გააკეთა ჩანაწერი, რომ ის შუამავალია. საქართველო პირველივე დღიდან ემიჯნება ასეთ თვითშემოქმედებას, მაგრამ, მზადაა, გააგრძელოს ამ ფორმატში მონაწილეობა რუსეთთან დიალოგისთვის, როგორც მხარესთან.
  - ასეთი დადგენილება საქართველოს დამატებით დიპლომატიური მანევრის საშუალებას გაუჩენს. ასევე, ეს დადგენილება რიგ საკითხებს დაავალებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მაგალითად:
- პარლამენტის დადგენილების შედეგად, საქართველოს მთავრობა გამოსცემს აქტს, სადაც ყველა რაუნდის შეჯამებისას ყველა ოფიციალურ დოკუმენტში, პრეს-რელიზში სავალდებულო გახდება საქართველოს ოფიციალური პოზიციის აღნიშვნა - რუსეთი არის მხარე და მას საქართველო არ აღიარებს როგორც შუამავალს. შუამავალი (მედიატორი) პროცესს უკვე ჰყავს და 6-პუნქტიანი ხელშეკრულება მხოლოდ ამ ფორმითაა ძალაში.
  - ამ ოფიციალური დოკუმენტებით საქართველოს სახელმწიფომ უნდა განმარტოს საკუთარი პოზიცია და ხედვა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მიმართ, უნდა განსაზღვროს საქართველოს ამ დისკუსიებში მონაწილეობის მიზანი. საქართველომ უნდა გამოაქვეყნოს ეს ოფიციალური დოკუმენტები, რომელშიც ცალსახად გაემიჯნება რუსეთის - როგორც შუამავლის მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში და მოსთხოვს საერთაშორისო საზოგადოებას, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება აღნიშნულ ხელმოწერილ 6-პუნქტიან დოკუმენტთან მიმართებაში.

საქართველოს აწმყოსა და ისტორიას სჭირდება, გაცხადებული იყოს, თუ რა ფორმატში მონაწილეობს საქართველო, რატომ მონაწილეობს და რას ემიჯნება ქვეყანა. ეს საჭიროა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია საქართველოს სამშვიდობო პროცესზე - ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე. პრიორიტეტულად გასათვალისწინებელია ქართული საზოგადოების მაღალი მოლოდინები საქართველოს ხელისუფლების მიმართ - ასეთი დოკუმენტებით საქართველოს ხელისუფლება საზოგადოებას სცემს პატივს და ოფიციალურად წამოიწვეს საკითხს: ვინ არის მხარე საქართველოს კონფლიქტებში და ვინ - შუამავალი (მედიატორი). ეს საკითხი საქართველოს იმთავითვე უნდა წამოეწია და დაეფიქსირებინა შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო სახელმწიფოს ინტერესები. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა არც 2008 წელს და არც 2012 წელს, როცა მოვიდა შემდეგი ხელისუფლება. ისევ სამწუხაროდ, არჩეულ იქნა ჟენევის დისკუსიებში მონაწილეობა მხოლოდ იმისათვის, რომ საერთაშორისო ფორმატი, როგორც ფორმატი შენარჩუნებულიყო...

დღეს, 10 წლის შემდეგ, ჟენევაში მორიგ, ტრადიციულ გამგზავრებაზე (აპრილი, 2019 წელი) საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია, ითავოს და ცალსახა გახადოს ქართული და მსოფლიო საზოგადოებებისათვის, რას ელის საქართველოს სახელმწიფო ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისგან, რატომ აგრძელებს

საქართველო მასში მონაწილეობას და, იმავდროულად, რას აქვეყნებს ქვეყანა. ამიტომაც აუცილებელი საქართველოს სახელმწიფოს განცხადება (დოკუმენტები, ნორმატიული აქტები) სტრატეგიული კომუნიკაციისა და საქართველოს მოქალაქეთა მშვიდობისათვის, რომ დაუსვას წერტილი დღემდე არსებულ გაურკვევლობას და დუმილს: **2008 წლის 6-პუნქტიანი დოკუმენტი ბუნდოვანია, რადგან ტოვებს ორაზროვნებას ხელმოწერთა როლის შესახებ - მასზე რუსეთი ხელს აწერს, როგორც შუამავალი და არა როგორც მხარე. მაშინ რა პასუხს გასცემს საქართველო თავის საზოგადოებას?!**

ასეთი ქმედების გარეშე, საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება ერთი, დამატებითი ფურცელი, რომ საქართველოს სახელმწიფო ოფიციალურად დაეთანხმა რუსეთს, იყოს შუამავალი ქართველებს, აფხაზებს, ოსებს შორის და, იმავდროულად იყოს 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე. პროცესში მონაწილეობა დუმილით - პროცესის აქცეფტია.

### **რატომ არის საქართველოს მონაწილეობა აქცეფტია:**

ნებისმიერ, თუნდაც მიუღებელ ფორმატში, მონაწილეობა და ამ მონაწილეობითობის რეგულარობა, ფორმატის მიღებას, დათანხმებას ნიშნავს. საქართველო ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილეობს 10 წელია. 46 რაუნდი, რომელიც ჟენევაში ჩატარდა 2008 წლიდან დღემდე (წელიწადში 4-ჯერ), განსაკუთრებული შედეგით არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. წინ კიდევ რამდენი ასეთი ტექნიკური რაუნდია მოსალოდნელი, არავინ ვიცით. შედეგი მაინც ერთი იქნება: ნულოვანჯამიანი თამაში.

*რაში მდგომარეობს აქცეფტია და რა შედეგი დგება საქართველოს მონაწილეობით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში:*

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების წყარო, მისი სადამფუძნებლო დოკუმენტი გახლავთ 2008 წლის აგვისტოს სარკოზი-საკაშვილი-მედვედევის ხელმოწერილი დოკუმენტი - 6-პუნქტიანი შეთანხმება, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, სამშვიდობო შეთანხმება - როგორც გნებავთ ისე დავარქვათ, ამას ახლა არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ ამ დოკუმენტის დასახელების ციტირებისას სხვადასხვა მიდგომა არსებობს სამეცნიერო წრეებში, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ციტატა ჰ.ტალიავინის (2009) ანგარიშიდან:

„After five days of fighting, a ceasefire agreement was negotiated on 12 August 2008 between Russian President Dmitry Medvedev, Georgian President Mikheil Saakashvili and French President Nicolas Sarkozy, the latter acting on behalf of the European Union. An implementation agreement followed on 8 September 2008, again largely due to the persistent efforts of the French President. Since then, however, with the exception of the establishment of an EU Monitoring Mission (EUMM) and the Geneva talks, almost no progress has been made in the difficult process of establishing peace and stability in the region. The situation remains tense and volatile, and there are many who fear a resumption of hostilities.“<sup>1</sup>

აი სწორედ ეს 6-პუნქტიანი დოკუმენტი ხელმოწერილი იყო 2008 წლის აგვისტოში. საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ მას ხელი მოაწერა 12 აგვისტოს და მოლაპარაკებების შემდეგ საქართველოსა და

<sup>1</sup> Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Vol.I, September, 2009, p.11.

რუსეთის პრეზიდენტებთან, ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს მიხეილ სააკაშვილმა (15 აგვისტო, 2008)<sup>2</sup> და დიმიტრი მედვედევმა (16 აგვისტო, 2008)<sup>3</sup>.

ხელმოწერილი დოკუმენტი დღეს ერთიანი, როგორც ერთი ორგანიზმი არ არსებობს. არსებობს სარკოზის ხელმოწერილი 1 გვერდი (ფრანგულ ენაზე)<sup>4</sup>; არსებობს სარკოზი-სააკაშვილის ხელმოწერილი 1 გვერდი (ფრანგულ ენაზე), არსებობს რუსულ ენაზე მედვედევის ხელმოწერილი 1 გვერდი და ბაღაფშისა და კოკოითის ხელმოწერილი 1 გვერდი (რუსულ ენაზე). ეს გვერდები ერთადაა აკინძული და ამ ნაკრებზე - როგორც ერთიან ფუძემდებელ დოკუმენტზე დგას ქენევის საერთაშორისო დისკუსიები. ამას, როგორც სჩანს, თავისი მიზეზები აქვს. მაგრამ, ამაზეც სხვა დროს.

ახლა ერთი რამ გახლავთ მთავარი - რა წერია ამ „ნაკრებ“ ხელმოწერილ დოკუმენტში:

ის ვერსია, რომელიც დღეს არსებობს - ხელმისაწვდომია და რომლითაც ოპერირებს ყველა საერთაშორისო მისია<sup>5</sup> და ორგანიზაცია, მათ შორის გაერო, ეუთო, ევროკავშირი - არის სწორედ ის ერთადერთი „ნაკრები“ დოკუმენტი<sup>6</sup>, რომელზეც რუსეთის პრეზიდენტი ხელს აწერს, როგორც შუამავალი საქართველოსა და აფხაზეთს, ასევე სამხრეთ ოსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

დოკუმენტი გვამცნობს: რუსეთი-შუამავალია. ამ როლით 6-პუნქტიან შეთანხმებას ხელს აწერს დიმიტრი მედვედევი „... при посредничестве за РФ.“ დიმიტრი მედვედევი და ნიკოლა სარკოზი აცხადებენ: „... поддерживают принципы урегулирования и призывают соответствующие стороны...“ ეს დოკუმენტი გაეროს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვს გამოქვეყნებული.<sup>7</sup>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებგვერდზე<sup>8</sup> მხოლოდ სააკაშვილისა და სარკოზის ხელმოწერილი დოკუმენტი დევს. საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ვებგვერდზე კი მხოლოდ სარკოზის ხელმოწერილი გვერდია<sup>9</sup>.

ასეთ მდგომარეობას ყველა ეგუება და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ყველაზე მთავარი მოქმედი პირი - საქართველოს სახელმწიფო დუმს და დუმლით მონაწილეობს ამ ფორმატში. რა თქმა უნდა, სხვა მონაწილენი (სამი თანათავმჯდომარე: ეუთო, გაერო, ევროკავშირი და აშშ) რას იტყვიან საქართველოს ნაცვლად? არც 2008 წლამდე ამოულია დიდად საქართველოს სახელმწიფოს ხმა, როდესაც რუსეთის ჯარს ცისფერი ჩაფხუტიანების მანდატი დაახურეს თავზე გაერო-ს გადაწყვეტილებით. ახლაც ჩუმად მიდი-მოდის საქართველო ქენევაში. მერე უკანდაბრუნებული კითხვას თავის მოქალაქეებს უბრუნებს: რა უნდა რუსეთს, რატომ არ ასრულებს შეთანხმებასო. რუსეთი კი მშვიდად აცხადებს: მე შუამავალი ვარ. ელაპარაკეთ აფხაზებს და ოსებს-ო.

<sup>2</sup> Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Vol.I, September, 2009, p.414.

<sup>3</sup> Ibidem.

<sup>4</sup> <https://franceintheus.org/spip.php?article1101>

<https://franceintheus.org/IMG/pdf/accord6points.pdf>

<sup>5</sup> [https://www.echr.coe.int/Documents/HUDOC\\_38263\\_08\\_Annexes\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/HUDOC_38263_08_Annexes_ENG.pdf)

<sup>6</sup> „... a ceasefire agreement was negotiated on 12 August 2008 between Russian President Dmitry Medvedev, Georgian President Mikheil Saakashvili and French President Nicolas Sarkozy, the latter acting on behalf of the European Union.“ Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Vol.I, September, 2009, p.11.

<sup>7</sup> [https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/GE\\_080812\\_Protocol%20d%27accord.pdf](https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/GE_080812_Protocol%20d%27accord.pdf)

<sup>8</sup> <http://smr.gov.ge/Uploads/9bbbc7.pdf>

<sup>9</sup> “Georgia: the 6 Points Plan,” Embassy of France in Washington, August 14, 2008, <http://ambafranceus.org/spip.php?article1101>

10 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს არ მიუღია არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ახსნიდა მდგომარეობას და რუსეთს დაადანაშაულებდა დოკუმენტის ხელმოწერისას თვითნებურად შუამავლის როლის მისაკუთრებაში (რომ მან, რუსეთმა ხელი მოაწერა რუსულენოვან დოკუმენტს, რომელშიც გააკეთა ჩანაწერი, რომ ის ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს, როგორც შუამავალი) და ოფიციალურად გაემიჯნებოდა რუსეთის ასეთ როლსა და თვითგამოცხადებულ მდგომარეობას, ან, საქართველოს სახელმწიფო აღიარებს რუსეთის შუამავლობას საქართველოსა და აფხაზეთს, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის და ამიტომ, არანაირი დოკუმენტის ან განცხადების გაკეთება არაა საჭირო.

ეს, საბოლოო ჯამში, სწორედ ასე გამოიყურება:

- ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში ქართული სახელმწიფო 10 წელია მონაწილეობს;
- 6 პუნქტის შესრულებაზე გვაქვს ხელი მოწერილი;
- დოკუმენტს ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სერგეი ბაღაფში აფხაზეთის პრეზიდენტი, ედუარდ კოკოითი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი, ხოლო დიმიტრი მედვედევი, როგორც შუამავალი, რომელიც მხარეებს მოუწოდებს, შეასრულონ ვალდებულება<sup>10</sup>.

თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, მზად ვარ, მოგაწოდოთ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები. მადლობა ყურადღებისთვის.

პატივისცემით,

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი,

დირექტორი

---

<sup>10</sup> Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, Vol.III, September, 2009, 585-592 pp.